განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ინგლისური ფილოლოგია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27 .05.2019-7.06.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი

2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **205050567** |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ინგლისური ფილოლოგია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში- 1005 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ჯოჯუა, ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ინგა დიაკონიძე, დოქტორი, პროფესორი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, უცხო ენათა ცენტრის ხელ-ლი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სალომე ძაგნიძე, სტუდენტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა (აკრედიტებული 2014 წლის 21 ივლისს, №158 გადაწყვეტილებით) ხორციელდება შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრიატში ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მიერ და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთათვის ფილოლოგიაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

პროგრამის მიზნები მოიცავს უმაღლესი განათლების პირველი დონის შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას ინგლისურ ფილოლოგიაში, კერძოდ, ისეთი პროფესიონალის გამოშვებას რომელსაც ექნება ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. ,,საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს" პარამეტრების მიხედვით ინგლისური ენობრივი კომპეტენცია C1 დონეზე, ინგლისური ლიტერატურისა და კულტურის შესახებ ცოდნა, ლინგვისტური ანალიზისა და ლიტერატურული კრიტიკის უნარი. გარდა ამისა, პროგრამა შეიცავს კონცენტრაციის მოდულს, რომლის არჩევის შემთხვევაშიც, ზემოთჩამოთვლილ მიზნებთან ერთად პროგრამა კურსდამთავრეულების თარგმანის საფუძვლებისა და დარგობრივი ენის თავისებურებების შესახებ ცოდნით აღჭურვაზეა ორიენტირებული.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა 8 სემესტრიანია და მოიცავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ 240 ECTS კრედიტს, რომლებიც გადანაწილებულია ზოგადსაუნივერსიტეტო, სპეციალობის ენისა და მეორე უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე, ასევე სპეციალობის სავალდებულო და არჩევით საგნებზე. სტუდენტს ასევე აქვს შესაძლებლობა, აითვისოს თავისუფალი კრედიტები (20 ECTS კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები, 30 ECTS კრედიტი - ინგლისური ენა, 20 ECTS კრედიტი - მეორე უცხო ენის შესწავლა, 115 ECTS კრედიტი- სპეციალობის სავალდებულო საგნები, ხოლო 55 ECTS კრედიტი- სპეციალობის არჩევით საგნები; მაქსიმუმ 20 ECTS კრედიტის ათვისება შესაძლებელია თავისუფალი კრედიტებით არჩევითის სტატუსის მქონე საგნების ჩანაცვლების ხარჯზე).

პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორის, ქეთევან გრძელიძის ხელმძღვანელობითა და ხათუნა ბასილაშვილის თანახელმძღვანელობით.

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის ბრძანების #416, 24/05/2019 თანახმად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი შემადგენლობით: ნინო ჯოჯუა, ინგა დიაკონიძე, სალომე ძაგნიძე, რომელმაც 2019 წლის 31 მაისს აღნიშნული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა და თანმხლები დოკუმენტაცია: სილაბუსები, კავკასიის ბიზნეს სკოლის ნორმატიული აქტები, მათ შორის, უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, პერსონალის მართვის და ხარისხის

უზრუნველყოფის დოკუმნეტაცია, ხელშეკრულებები ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან, დამსაქმებლებთან, პერსონალის CV და პირადი საქმეები და სხვ.

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა ეფუძნებოდა და მიზნად ისახადა პროგრამის შესაბამისობის დადგენას აკრედიტაციის 5 სტანდარტთან მიმართებაში: 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 2. სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა. 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები;

ვიზიტის ფარგლებში მოხდა ექსპერტთა მიერ დღის წესრიგით დაგეგმილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, ბიბლიოთეკის, აუდიტორიების,კომპუტერული ლაბორატორიის და კაბინეტების დეტალური დათვალიერება და გაიმართა შეხვედრები ექსპერტთა ჯგუფსა და

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან,
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან,
- პროგრამის ხელმძღვანელობასთან,
- პროგრამაში ჩართულ აკადმიურ და მოწვეულ პერსონალთან,
- 2015-2018 წლებში პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან,
- 2015-2016 წწ.-ის კუსდამთავრებულებთან,
- დამსაქმებელთან და სტაჟირების განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ დღის წესრიგით დაგეგმილი შეხვედრების შემადგენლობა აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებელთან შეიცვალა, კერძოდ, შეხვედრას ვერ დაესწრო ორი აკადემიური პერსონალი და გეგმით გათვალისწინებულ დამსაქმებელთა შემადგენლობას დაემატა პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ყველა მონაწილე იყო კოოპერაციული, გამოხატავდნენ მზაობას დისკუსიისა და საჭირბოროტო საკითხებზე ღია მსჯელობისთვის. ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია მოწოდებულ იქნა ვიზიტის დასრულებამდე, რისთვისაც ექპერტთა ჯგუფი დიდ მადლობას უხდის თითოეულ მონაწილეს.

შეხვედრების განმავლობაში ექსპერტებმა და უნივერსიტეტის პერსონალმა განიხილეს პროგრამა, მისი შემადგენელი ნაწილები, სილაბუსები და დამხმარე დოკუმენტაცია ( საჭირო გახდა სკოლიდან გარკვეული ბრძანებების, ოქმებისა და საკონფერენციო მასალების გამოთხოვა), დაისვა კითხვები და გამოითქვა მოსაზრებები როგორც ექსპერტთა, ასევე უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან. ვიზიტის ბოლოს ექპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგნელებს ძირითადი მიგნებები გააცნეს და ყურადღება გაამახვილეს პროგრამის რამდენიმე ძლიერ და სუსტ მხარეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების ანალიზი მნიშვნელოვანწილად დაეხმარა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ საბოლოო დასკვნის პროექტის მომზადებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის საერთო შეფასება კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის თაობაზე დადებითია. პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს პროაქტიული პროფესიული უნარებით, აძლევს სპეციალობის გაღრმავების ხარჯზე დამატებითი უნარების, კერძოდ, მთარგმნელის პროფესიული უნარების გამომუშავების საშუალებას, რის მიღწევასაც მიზნად ისახავს პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების იმპლემენტაციით.

პროგრამის მიზნები და შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული ცალკეული ერთეული ეპიზოდების გარდა. ისინი უმეტესწილად შეესაბამება აკრედიტაციის ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თუმცა, სრულად ვერ ასახავს ყველა დამსაქმებლის (საზოგადოების) მოთხოვნა-საჭიროებას.

პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები რეალისტურია და მიღწევადი, რასაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების, შინაარსისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ერთმანეთთან შესაბამისობა.

პროგრამაში ნათლადაა წარმოდგენილი სპეციალობის საგნების ბლოკი. ისინი ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, თუმცა, შეინიშნება ერთეული შემთხვევები, სადაც შესაბამისობა კონკრეტული საგნის შინაარსს, მიზნებსა და შედეგებს შორის დარღვეულია.

სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა გამჭირვალე, ადეკვატური და საჯაროდ ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შედეგების გასაჩივრების პროცედურა, რომელიც ეფექტურად ფუნქციონირებს.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება დარგის სპეციფიკისათვის საჭირო პერიოდულობით. სწავლების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ძირითადად შეესაბამება საგანამანათლებლო პროგრამის დონეს და მოთხოვნებს, თუმცა, სასურველი იქნებოდა ზოგიერთი სპეციალობის კურსის შემთხვევაში, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები უფრო მეტად ითვლისწინებდეს შესასწავლი საგნის სპეციფიკას და მეტად ხდებოდეს შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების დივერსიფიკაცია საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე, სასურველია შეფასება განხორციელდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. მათ შორის შესაძლებელია გარეშე ექსპერტის ჩართულობაც.

სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რესურსები უმეტესწილად შეესაბამება კურსის და ზოგადად პროგრამის მიზნებს, თუმცა, არის ცალკეული შემთხვევები, სადაც, ვფიქრობთ, საჭიროა სავალდებულო ლიტერატურის მოდიფიკაცია.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კონცეფცია ითვალისწინებს კავკასიის უნიევრსიტეტის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების სკოლის სტრატეგიულ მიზნებს და მისიას, რომელთაგან ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ინტერნაციოალიზაცია და სამეცნიერო კვლევის განვითარება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგების ანალიზის საფუძველზე, გვსურს აღვნიშოთ, რომ პროგრამა დღესდღეობით სუსტია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ეს შეეხება არამარტო სტუდენტების და პერსონალის მობილობას, ასევე, საერთაშორისო აქტივობების ნაკლებობას მოცემული პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მასშტაბით.

აქვე, პროგრამის სასარგებლოდ გვსურს აღვნიშნოთ, რომ აშკარაა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის მზაობა, განახორციელონ ეფექტური აქტივობები პროგრამის სამეცნიერო საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიმართულებით. უნივერსიტეტმა შეიმუშავა შიდა საგრანტო სისტემა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების რეიტინგული სქემა. ამასთან, მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ სამეცნიერო აქტივობებში მონაწილე სტუდენტები უპირატესობით ისრგებლებენ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების კონკურსებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროგრამის, ისევე როგორც კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და პრიორიტეტია სამეცნიერო კვლევის განვითარება. პროგრამა, სასწავლო კურსებში გარკვეულწილად ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევის კომპონენტის არსებობას, თუმცა,

სასურველი იქნებოდა კვლევის კომპონენტის უფრო გაძლიერება, მაშინ როცა პროგრამის მიზნებში ნათლად იკვეთება, რომ პროგრამას აქვს ამბიცია, კურდამთავრებული დასაქმდეს სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია ადეკვატურია და შეესაბამება წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის პერსონალის მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა, როგორც პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესებში, ასევე, საერთაშორისო აქტივობებში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს პროგრამის განმტკიცებას, განვითარებასა და ინტერნაციონალიზაციას.

კავკასიის უნივერსიტეტს თავის მფლობელობაში გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე და ინოვაციური ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო რესურსებით, ლიტერატურის ბეჭდური და ელ. ვერსიებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელ. რესურსების საერთაშორისო ბაზებთან, რომელსაც ეფექტურად იყენებენ სტუდენტები და პროფესურა. უნიერსიტეტში ფუნციონირებს ანტიპლაგიატის პროგრამა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც, შესაბამისი პერსონალის დახმარებით (პროგრამის დირექტორი, მენეჯერი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობას და სტუდენტთა ინფორმირებულობას.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, მათ ინფორმირებულობას სასწავლო პორცესში მიმდინარე ცვლილებების და სიახლეების შესახებ, რაც დასტურედება, როგორც შესაბამისად გაწერილი რეგულაციებითა და დოკუმენტაციით, ასევე, სტუდნეტებთან ინტერვიუს შედეგებით. ინტერვიუზე სტუდენტები შთამბეჭდავად მოტივირებული წარდგნენ. ისინი გამოხატავდნენ თავიანთ კმაყოფილებას და კეთილგანწყობას როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ასევე, პროგრამის შედეგად მიღებული ცოდნისა და უნარების და პროგრამაში ჩართული პერსონალის მიმართ. ისინი მუდმივად ამახვილებდნენ ყურადღებას თავიანთი პედაგოგების პროფესიონალიზმზე, უშუალობასა და ობიექტურობაზე. ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტები აცხადებენ, რომ არიან მუდმივად ინფორმირებული უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების თაობაზე, მონაწილეობენ თავიანთი ლექტორების და პროფესორ-მასწავლებლების ანონიმური შეფასების პროცესში, მათთვის, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ხელმისაწვდომია კონსულტაცია პროგრამაში ჩართულ პროფესურასთან და, რაც მთავარია, იღებენ კვალიფიციურ კონსულტაციებს. ასევე, კმაყოფილი არიან საბიბლიოთეკო სერვისით და ეფექტურად სარგებლობენ წიგნადი ფონდითა და ელექტრონული ბაზებით. თუმცა, მათ ასევე გამოხატეს სურვილი, ჩაერთონ საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და კონფერენციებში, რისი გამოცდილებაც აქამდე არ ჰქონიათ და მიეცეთ მეტი შესაძლებლობა, უფრო განავითარონ და დახვეწონ უცხო ენაზე ზეპირმეტყველების უნარი.

საუნივერსიტეტო დებულებით რეგულირდება ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის შესაძლებლობა და კრიტერიუმები. თუმცა, ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციით, ასეთი მოთხოვნით ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს ჯერ არ მოუმართავთ.

პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და საშუალო სკოლაში. ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ ისინი მუდმივად არიან ჩართული პროგრამის განვითარების პროცესში, თუმცა, მათი წვლილი არ დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ასევე არ დასტურდება დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის დაგეგმვა-განვითარების პროცესში,

დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგების, პროგრამის მიზნების, შედეგების და პროგრამით განსაზღვრული დასაქმების სფეროების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს სასწავლო პრაქტიკის შესაძლებლობა, ან სწავლების მეთოდიკის კომპონენტი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა პროგრამის კურსდამთავრებულის მიერ შეძენილ უნარებს და კომპეტენციებს და გაზრდიდა მათი დასაქმების შესაძლებლობას სასწავლო დაწესებულებაში.

ჰუმანიტარულ და სოცალურ მეცნიერებათა სკოლა, პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით, განსაზღვრავს პროგრამის ფინანსურ საჭიროებებს და შესაბამისად ახდებს პროგრამიდან მიღებული შემოსავლის გადანაწილებას პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, თვითშეფასების დოკუმენტის ინფორმაციით, რომელიც დასტურდება ინტერვიუს შედეგებითაც, უნივერსიტეტის მიერ შექმნილია სარეზერვო ფონდი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ რეჟიმში, შეუფერხებელ განხორციელებას.

პროგრამის შიდა და გარე ხარისხის მონოტრინგი ხორციელდება საუნივერსიტეტო, უნიფიცირებული რეგულაციების მიხედვით, სადაც დეტალურადაა გაწერილი შიდა ხარისხის უზრუნელყოფის ეტაპები და მექანიზმები. ინტერვიუს შედგად მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრებს ძირითადად არაფორმალური ხასიათი აქვს და არ ხასიათდება გარკვეული პერიოდულობით.

თვითშეფასების ჯგუფის მონაწილეთა განცხადებით, პროგრამის განვითარების შეფასება ხორციელდება ყველა დაინტერსებული მხარის ჩართულობით, თუმცა, ვერც ვერბალურად და ვერც დოკუმენტურად, ჩართულმა მხარეებმა ვერ წარმოადგინეს მათი წვლილის დამადასტურებელი არგუმენტებიინტერვიუს მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისეთი აქტივობები, როგორიცაა პროგრამაში ცვლილებების შეტანა, კონკრეტულ კურსისათვის კრედიტების განსაზღვრა და ა.შ. ხორციელდება პროგრამაში ჩართული პერსონალის არაფორმალურ შეხვედრებზე.

თუმცა, აქვე გვსურს, აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შიდა ხარისხის მონიტორინგი არ ითალისწინებს ურთერთდასწრების აქტივობას პროგრამის შემდგომი დახვეწა-განვითარების მიზნით, ინგლისური ფილოლოგიის აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი, საკუთარი ინიციატივით წარმატებით და დიდი ენთუზიაზმით ახორციელებენ ურთიერთდასწრებას კოლეგასთან გამოცდილების გაზიარების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველი იქნებოდა, ასეთი აქტივობების ერთი მხრივ, დოკუმენტურად გაფორმება, რაც უფრო ეფექტურს გახდიდა გამოცდილების გაზიარების ამ პროცესს, და მეორე მხრივ, გარკვეული პერიოდულობით დანერგვას სწავლების ხარისხისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ,,გარე ხარისხის შეფასება ხდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის დროს. ასევე, პერიოდულად ხდება გარე ექსპერტების მოწვევა, მათ შორის საერთაშორისო ექპერტების. ხორციელდება მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.'' გარე ექსპერტების ჩართულობა პროგრამის შეფასებაში არ დასტურდება ინტერვიუს შედეგებით, ისევე, როგორც არ არსებობს ასეთი ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**რეკომენდაციები**

- ჩასწორდეს პროგრამის მიზნების ბლოკი;
- გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით;

- პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვის პროცესში გაძლიერდეს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა ( დამსაქმებლის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, და. სხვ.) და პროგრამას დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია;
- გადაიხედოს და დაიხვეწოს კონცენტრაციის მოდულის სასწავლო კურსების სახელწოდება და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან;
- ზუსტად განისაზღვროს და/ან დაზუსტდეს კონცენტრაციის მოდულის კურსის ,,დარგობრივი თარგმანი" სახელწოდება, მიზნები და შედეგები და ზედმიწევნით შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
- საჭიროა, პროგრამაში ჩართული ყველა, და არა ცალკეული პერსონალის პროფესიული განვითარების აქტიური მხარდაჭერა უსდ-ს მხრიდან;
- პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, საჭიროა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა-გააქტიურება უშუალოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში;
- თვითშეფასების ანგარიშში ასახული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა მოცემული პროგრამის შეფასების პროცესში არ დასტურდება. შესაბამისად, საჭიროა, დაზუსტდეს და გამჭვირვალე გახდეს პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები.
- ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა, გაძლიერდეს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება და შედეგები დადასტურდეს დოკუმენტურად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია,ვებ-გვერდზე ჩასწორდეს მიზნები პროგრამის ზოგადი აღწერილობის ბლოკში;
- სასურველია, პროგრამას დაემატოს პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტი;
- ჩარიცხული სტუდენტებისთვის ჩატარდეს ინგლისური ენაზე საუბრის დონის განმსაზღვრელი გასაუბრება;
- სასურველია, მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით, მკაფიოდ და ლოგიკურად განისაზღვროს თითოეულ სასწავლო კურსზე შესაბამისი კრედიტის მინიჭების მექანიზმი;
- სასურველია, ერთეული კურსების შემთხვევაში გადაიხედოს, დაზუსტდეს და მკაფიოდ განისაზღვროს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა;
- სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი;
- სასურველია, სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;
- სასურველია, პროგრამის სილაბუსებში აისახოს სტუდენტისათვის უკუკავშირის მიწოდების პროცესი;
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით პროგრამის ხარისხის შემდგომი განვითარების მიზნით.
- სასურველია,პროგრამაში დაინერგოს და განხორციელდეს კოლეგიალური შეფასებისა და პედაგოგის მხრიდან საკუთარ სწავლების პროცესზე დაკვირვების მექანიზმი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - შიდა საგრანტო სისტემა;
  - სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების რეიტინგული სქემა და რეკომენდაციების გაცემა დამსაქმებელთან;
  - სამეცნიერო აქტივობებში მონაწილე სტუდენტების უპირატესობის მინიჭება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების კონკურსებში;
  - პროფესორ-მასწავლებლების მიერ ინიცირებული ურთიერთდასწრების პრაქტიკა პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>o კავკასიის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი 6 მიზანი შეესაბამება და ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციას, რაც უნდა გამოუმუშავდეს სტუდენტს საბაკალვრო პროგრამის გავლის შემდეგ, კერძოდ, პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ისეთი სპეციალისტი ინგლისურ ფილოლოგიაში, რომელსაც ექნება ინგლისური ენის კომპეტენცია მაღალ (C1) დონეზე (CEFR - სარეკომენდაციო დოკუმენტი ენებისთვის „საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ პარამეტრების მიხედვით), ინგლისური ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის კომპლექსური შესწავლის ჭრილში ჩამოყალიბებული ლინგვისტური ანალიზისა და ლიტერატურული კრიტიკის უნარები. გარდა ამისა, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს თარგმანის საფუძვლებისა და დარგობრივი ენის თავისებურებების შესახებ ცოდნის გადაცემას კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში.<br><br>o პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული ცალკეული ერთეული ეპიზოდების გარდა, კერძოდ, პროგრამის ერთ-ერთი მიზანი- სტუდენტებისათვის ინგლისური ენის კომპეტენციის მაღალ, პროფესიულ დონეზე გამომუშავება -ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად „„...შეასწავლოს გამართულად საუბარი ინგლისურ ენაზე (წარმოთქმისა და ენის გამოყენების ჩათვლით)“. აღნიშნული ფორმულირება გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს, რადგან ნათლად ვერ ასახავს ენობრივი კომპეტენციის 4 უნარ-ჩვევაზე (საუბარი, წერა, მოსმენა, კითხვა) ორიენტირებული ზოგადი ინგლისურის კურსების კომპლექსური შესწავლით გამოსამუშავებულ პროდუქციულ უნარებს - წერასა და საუბარს. აქცენტირდება მხოლოდ საუბარი, რაც უნდა ჩასწორდეს პროგრამის აღნიშნულ ბლოკში. ასევე, ვფიქრობთ, წარმოთქმისა და ენის გამოყენების დაკონკრეტება მიზნების ბლოკში არარელევანტურია მოცემული პროგრამის ფარგლებში.<br><br>o უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალებისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე, კავკასიის უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია შიდა და გარე შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სტუდენტების მომზადება რომელსაც უნივერსიტეტი |

გეგმავს და ახორციელებს თეორიული ცოდნის მაქსიმალურად პრაქტიკული აპლიკაციის, ინგლისური ენის ცოდნის, აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევებზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობით. შესაბამისად, როგორც თავად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აღნიშნავს, პრაქტიკული კომპონენტის გასაუმჯობესებლად თითოეულ პროგრამაზე სასწავლო ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა შემცირდა მაქსიმალურად და დღესდღეობით სწავლა მიმდინარეობს 25-30 კაციან ჯგუფებში. გარდა ამისა, აკადემიური კეთილსინდისიერების მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში (ძირითადად საპილოტო რეჟიმში) ხორციელდება ე.წ. ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა Turnitin, რომელშიც გარკვეულწილად ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაცაა ჩართული. დღევანდელი მონაცემებით, აღნიშნულ სისტემას იყენებს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის რამდენიმე ლექტორი საკუთარ სასწავლო კურსში ( მაგ., აკადემიური წერა, პროფესიული ინგლისური და ა. შ. ). თუმცა, როგორც პროგრამის პერსონალი აღნიშნავს, იგეგმება სისტემის სრულად ათვისება.

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კონცეფცია ითვალისწინებს კავკასიის უნიევრსიტეტის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების სკოლის სტრატეგიულ მიზნებს და მისიას, რომელთაგან ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ინტერნაციოალიზაცია და სამეცნიერო კვლევის განვითარება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგების ანალიზის საფუძველზე, გვსურს აღვნიშოთ, რომ პროგრამა დღესდღეობით სუსტია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ეს შეეხება არამარტო სტუდენტების და პერსონალის მობილობას, ასევე, საერთაშორისო აქტივობების ნაკლებობას მოცემული პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მასშტაბით. აქვე, პროგრამის სასარგებლოდ გვსურს აღვნიშნოთ, რომ შეინიშნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის მზაობა, განახორციელონ ეფექტური აქტივობები პროგრამის სამეცნიერო ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიმართულებით.
- რაც შეეხება სამეცნიერო- კვლევით საქმიანობას, ფაკულტეტზე ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, მაგრამ უშუალოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტები დაბალ აქტივობას ამჟღავნებენ აღნიშნულ სამეცნიერო კონფერენციებში ( მაგ., 2019 წლის 21 მაისის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი 11 მოხსენებიდან მხოლოდ 3 მომხსენებელია ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტი, ხოლო წინა წლების საკონფერენციო მასალებზე დაყრდნობით ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტები არ იკვეთებიან მომხსენებლებად. მონაწილეთა უმეტესობა სოციალურ და განათლების მეცნიერებებში სტუდენტია). თუმცა წელს, როგორც უნივერსიტეტის პერსონალი აღნიშნავს, უნივერსიტეტში შეიქმნა კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც კურირებას გაუწევს და განამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მეტად ჩართულობას სამეცნიერო ცხოვრებაში. ამ მიზნით იგეგმება თემატური კონფერენციების მოწყობა და სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის წახალისება სხვადასხვა ფორმით ( მაგ., შიდა საგრანტო სისტემა, აქტიურ სტუდენტთა რეიტინგული სქემა, სამეცნიერო აქტივობებში მონაწილე სტუდენტების უპირატესობის მინიჭება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების კონკურსებში), რაც უდავოდ კარგი პრაქტიკაა სამეცნიერო საქმიანობის ხელშესაწყობად.
- ,,ინგლისური ფილოლოგიის" პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია მასში ჩართული პირებისათვის იმდენად, რამდენადაც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რომელიც, როგორც უნივერსიტეტის პერსონალი აღნიშნავს, ამჟამად განახლების პროცესშია; შესაბამისად, მცირედი ტექნიკური უზუსტობები შეინიშნება (კერძოდ, ვებ-

| |
|---|
| გვერდზე პროგრამის ზოგადი მიმოხილვის ბლოკში ვკითხულობთ, რომ სტუდენტს შეუძლია ჩამოყალიბდეს, როგორც ,,... თარგმანმცოდნე, თარგმანის კრიტიკოსი, მთარგმნელი/თარჯიმანი..”, თუმცა,, მეტი სიცხადისთვის, სასურველი იქნებოდა, დაკონკრეტებულიყო, რომ ეს მიზანი მხოლოდ კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაშია მიღწევადი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>▪ თვითშეფასების ანგარიში;<br>▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>▪ ვებგვერდი;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>o ჩასწორდეს პროგრამის მიზნების ბლოკი;<br>o გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o სასურველია,ვებ-გვერდზე ჩასწორდეს მიზნები პროგრამის ზოგადი აღწერილობის ბლოკში |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o შიდა საგრანტო სისტემა;<br>o სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების რეიტინგული სქემა;<br>o სამეცნიერო აქტივობებში მონაწილე სტუდენტების უპირატესობის მინიჭება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების კონკურსებში; |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o N/A |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ☐ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>☐ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; |

| |
|---|
| - შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>o მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს შედეებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ პროგრამაში ჩამოყალიბებული 5 სწავლის სრულად შედეგი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ინგლისური ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის საკვანძო საკითხების შესახებ ცოდნისა და ღირებულებების, ასევე ინგლისური ენის კომპეტენციის გადაცემას სტუდენტისათვის და მინიმალური სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომლებიც მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია.<br><br>o პროგრამის პერსონალის მიერ შედგენილია შედეგების რუქა, დადგენილია შედეგების სამიზნე ნიშნულები და შემუშავებულია შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც ჩაშლილია შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზები. პირდაპირი შეფასება გულისხმობს შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, რომლებიც თავის მხრივ, მოიცავს ზეპირი და წერილობითი დავალების შესრულებას, ტესტის დაწერას და პრეზენტაციას. რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, პროგრამის პერსონალი იღებს უკუკავშირს დამსაქმებლისგან, სტუდენტისგან და აკადემიური პერსონალისგან გამოკითხვის ჩატარების სახით; შემდგომ ხდება მიღებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, თუმცა, როგორც ინტერვიუზე აღნიშნა თვითშეფასების ჯგუფმა, სამწუხაროდ, კითხვარებიდან ყოველთვის არ ამოდის საჭირო ინფორმაცია, რის გამოსასწორებლადაც უნივერსიტეტის პერსონალი მუდმივად აახლებს და აკორექტირებს კითხვარებს.<br><br>o პროგრამის შედეგების შემუშავებაში, ანალიზსა და განვითარებაში, როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, მონაწილეებს ყველა დაინტერესებული პირი- იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან, დამსაქმებლისგან და ა.შ. თუმცა ეს პროცესი, აშკარაა არაოფიციალურ გარემოში ხორციელდება, კერძოდ,შედეგების ანალიზი ოფიციალურად არ ფიქსირდება; არ არსებობს შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია. მეტი სიცხადისთვის, საჭიროა, პროგრამის პერსონალმა გარკვეული სქემა შეიმუშაოს, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების პერიოდულ ჩართულობას შედეგების მაქსიმალიზაციის პროცესში. ასევე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოებაც.<br><br>o უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების დასაქმებას და ამ მიზნით .წელიწადში 2-ჯერ ეწყობა დასაქმების ფორუმი, რომელზეც მოწვეულია დაახლოებით 90-დე პოტენციური დამსაქმებელი. თუმცა, როგორც ინტერვიუმ ცხადყო, სტუდენტთა აქტიურობა ამ მიმართულებით დაბალია და სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით უფრო ეფექტური და დამატეებითი ღონისძიებების გატარებას, რათა უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ჩართულობა ამ პროცესში. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ამგვარი ღონისძიებების გატარება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების თვითშეგნების ამაღლებას პროფესიულ გარემოში ინტეგრაციის კუთხით და |

დაეხმაროს მას, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ მომავალზე.

- პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში და საშუალო სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე. სამომავლოდ იგეგმება კურსდამთავრებულების დასაქმება გამომცემლობებში სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე და ჟურნალ-გაზეთებში ჟურნალისტისა და თარჯიმნის პოზიციებზე. როგორც პოტენციურ და არსებულ დამსაქმებელთან შეხვედრიდან ირკვევა, მოცემული შრომის ბაზრის მიერ წაყენებული მოთხოვნების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად კარგი იქნება, თუ პროგრამას დაემტება მასწავლებლის მომზადების მოდული და პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტი ( მაგ., სკოლა ბაქსვუდი"), მით უფრო, რომ ინტერვიუზე თავად დასაქმებულმა სტუდენტებმაც გამოხატეს პედაგოგიკის საკითხების სწავლების გაძლიერების სურვილი.
- რაც შეეხება პოტენციური დამსაქმებლის პროგრამაში ჩართულობას და თანამშრომლობის გაღრმავებას, სასურველია, აღნიშნული თანამშრომლობა პროგრამის შემუშავების ეტაპიდან დაიწყოს და არ ჰქონდეს ზედაპირული ხასიათი (როგორც თავად დამსაქმებლებმა აღნიშნეს, გაეცნენ პროგრამას, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღიათ მის შემუშავებაში. გარდა ამისა, ინტერვიუზე წარმოდგენილი 3 დამსაქმებელი ორგანიზიიდან მხოლოდ 1-ში არის სტუდენტი რეალურად დასაქმებული, დანარჩენი 2 სამომავლოდ გეგმავს თანამშრომლობას და ჯერ არ იცის, ზუსტად რა სახით დაასაქმებს კურსდამთავრებულებს).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვის პროცესში გაძლიერდეს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა და პროგრამას დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამას დაემატოს პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტი

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

o

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესამისობაშია მოთხოვნებთან | ეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ს შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | √ | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>o ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები (ეროვნულ გამოცდებზე მოთხოვნილია უცხო ენის – ინგლისური ენის ჩაბარება). ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი.<br><br>o დაშვების წინაპირობებში გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკა, კერძოდ, პროგრამაში სტუდენტები შესაბამისი დონის ინგლისური ენის ჯგუფებში გადანაწილდებიან ერთიან |

| |
|---|
| ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში მიღებული ქულის მიხედვით. სტუდენტი, რომელმაც გამოცდაზე მიიღო მიიო 80 ქულზე ნაკლები, ინგლისური ენის შესწავლას იწყებს B1.0 კურსიდან და ვალდებულია მეხუთე და მეექვსე სემესტრებში, არჩევითი საგნების ჩანაცვლების ხარჯზე, გაიაროს C1.0 და C1 ზოგადი ინგლისური ენის სასწავლო კურსები, აღნიშნული მექანიზმი სრულიად მისაღებია, მისასალმებელია და ზრდის პროგრამით დასახული მიზნის C1 დონის მიღწევის შესაძლებლობას. აქვე, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რჩევა: რადგანაც საუბრის კომპონენტი ეროვნულ გამოცდებზე ჯერ ვერ მოწმდება და ინტერვიუდან ირკვევა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულების გასაუმჯობესებელ მხარედ მეტყველების უნარი სახელდება, სასურველია, პირველკურსელთათვის დაემატოს ზეპირი კომპონენტის შემამოწმებელი ინტერვიუ; მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთებიან სტუდენტები, რომლებსაც განსაკუთრებით უჭირთ საუბარი ინგლისურ ენაზე. ეს შედეგები ლექტორს გარკვეულწილად შესაძლებლობას მისცემს, დასაწყისიდანვე, სწორად დასახოს და გამოიყენოს ინდივიდუალური მიდგომის მეთოდოლოგია სწავლის პროცესში, თუნდაც ერთსა და იმავე დონის ჯგუფში შედარებით სუსტი და ძლიერი სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების თანაბრად მიღწევის უზრუნველსაყოფად. ამავე დროს, აბიტურიენტი, რომელსაც აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა სურს, იზრუნებს საუბრის უნარის დახვეწაზეც. პრაქტიკა აჩვენებს, რომ პროდუქციული უნარ-ჩვევების (წერისა და საუბრის) პროფესიონალურ დონეზე გამომუშავებას სხვა რეცეფციულ უნარებთან ( კითხვა და მოსმენა) შედარებით, გაცილებით მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება.<br>o .პროგრამაზე დაშვება სამართლიანია; მასზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სავსებით შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით; პროგრამაზე ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში; საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის პერსონალი მუდმივად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან მთელი ქვეყნის მასშტაბითა და ვებ- გვერდის საშუალებით, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>o საგანმანათლებლო პროგრამა<br>o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი<br>o ინტერვიუს შედეგები |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>▪ ჩარიცხული სტუდენტებისთვის ჩატარდეს ინგლისური ენაზე საუბრის დონის განმსაზღვრელი გასაუბრება. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>o პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების წესისა და კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისიასთან, და ხორციელდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით.<br><br>o პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მოიცავს 240 კრედიტს, რაც გადანაწილებულია ზოგადსაუნივერსიტეტო ( 20 კრედიტი), ძირითადი (30 კრედიტი) და მეორე უცხო ენის ( 20კრედიტი), დარგობრივი- სპეციალობის სავალდებულო ( 115 კრედიტი) და არჩევით( 55 კრედიტი) საგნებზე. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას, კერძოდ, შეთავაზებულია 20 თავისუფალი კრედიტი, რომელსაც სტუდენტი საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩევს სწავლის მე-3 და მე-4 წელს ( მე-5. მე-6, მე-7 და მე-8 სემესტრებში). პროგრამის შინაარსში ასევე გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ინგლისურ ენაში უნივერსიტეტის მიერ დადგეილ ბარიერზე დაბალ ქულს დააგროვებენ, ვალდებულნი არიან არჩევითი საგნების ჩანაცვლების ხარჯზე მე-5 და მე-6 სემესტრებში გაიარონ ინგლისური ენის 2 კურსი.<br><br>o პროგრამის შინაარსი და კომპლექსურობა უზრუნველყოფს ინგლისური ენის C1 პროფესიულ დონეზე მცოდნე ფილოლოგის მომზადებას, რომელსაც სურვილისამებრ შეუძლია თარგმანის დარგობრივი მიმართულებით პროფესიული საქმიანობის წარმოება, |

რაც უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. პროგრამა უმეტესად მოიცავს მრავალფეროვან და გამართულ სასწავლო კურსებს, რომელთა მიზნებისა და შედეგების წარმატებულად მიღწევის შემთხვევაში, სტუდენტები ეფექტურად გააგრძელებენ მუშაობას შესაბამის დარგში. ცალკეულ შემთხვევებში, კერძოდ, კონცენტრაციის მოდულის ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი დასახვეწია ( მაგ., ,,დარგობრივი თარგანი", რომლის მიზნები, შედეგები და შინაარსი გარკვეულწილად არ არის თანხვედრაში. დეტალურად იხ. 2.3).

- პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები, მათ შორის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე გათვლილი აქტივობები უმეტესად თანმიმდევრული და ლოგიკურია ( მაგ., ზოგადი ინგლისურის კურსს B2.0 მოყვება B2.; ინგლისური ენის ფონეტიკა 1, ინგლისური ენის ფონეტიკა 2 და ა.შ.), და შემდგომ კომპონენტზე დაშვების პირობები უმეტესად არის ადეკვატური ( მაგ., ,,ციფრული ლინგვისტიკის საფუძვლების" წინაპირობაა ,,გამოყენებითი ლინგვისტიკა'', რაც, კურსის შინაარსის დასაძლევად აუცილებელია), თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ( მაგ., ,,ტექსტის ინტერპეტაცია 1" და ,,ტექსტის ინტერპრეტაცია 2"; ასევე ,,პროფესიული ინგლისური 1" და ,,პროფესიული ინგლისური 2") კურსების სახელწოდება გულისხმობს იმას, რომ მეორე სასწავლო საგანი თავისი შინაარსით არის უფრო რთული, და/ან ამტკიცებს წინა კურსში ნასწავლ მასალას და სტუდენტებს უმუშავებს რაიმე ახალ უნარ- ჩვევას. ამ კურსების შეთხვევაში კი, უფრო საქმე გვაქვს 1 საგნის 2 ნაწილთან, რადგანაც ორივე კურსის შემთხვევაში, მიზნები და შედეგები იდენტურია), ვფიქრობთ, საჭიროა კურსებს შორის თუნდაც მცირედი განსხვავების იდენტიფიცირება და დაკონკრეტება, როგორც მიზნებსა და შედეგებში, ასევე მის სახელწოდებაში.
- მოწოდებული მასალის ანალიზსა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შემუშავებაში გარკვეულწილად ჩართულია ყველა მხარე, მაგრამ მათი ჩართულობა, როგორც უკვე აღინიშნა, არ ატარებს ინტენსიურ ხასიათს; ზედაპირულია და არ არის დოკუმენტირებული. როგორც ინტევიუზე აღინიშნა, პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელობასთან მხოლოდ პირად საუბრებში განიხილავენ ამა თუ იმ საკითხს; ზოგიერთი მოწვეული პროფესორის ინტერაქცია პროგრამასთან მხოლოდ ლექციისა და ე.წ. სტუდენტთან საკონსულტაციო საათების ჩატარებით შემოიფარგლება; შესაბამისად, რეალურად ყველა მხარის ჩართულობა ვერ დასტურდება.
- პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის ვებ-გვერდისა და უნივერსიტეტის შიდა მეილინგის სისტემით, როგორც ინტერვიუმ ცხადყო, ამ მიმართულებით ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელობა საკმაოდ ეფექტურად მუშაობს და ყველა დაინტერესებულ პირს დროულად და სისტემატიურად მიეწოდება ინფორმაცია პროგრამაში ცვლილებებისა თუ სიახლეების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს და დაიხვეწოს კონცენტრაციის მოდულის სასწავლო კურსების სახელწოდება და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან.

- გაძლიერდეს პროგრამის შემუშავებაში აკადემიური პერსონალის ჩართულობა და ეს პროცესი აისახოს დოკუმენტურად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- პროგრამის ძირითადი სპეციალობის- ინგლისური ენის პროფესიულ დონეზე მცოდნე ფილოლოგის მოსამზადებელი სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და მიმართულია ისეთი სპეციალისტის მომზადებაზე, რომელიც ამჟღავნებს ინგლისური ლიტერატურის, ისტორიის, კულტურისა და პოლიტიკის საკვანძო საკითხების შესახებ ცოდნას, ასევე აღჭურვილია ბაკალავრიატის საფეხურისათვის შესაბამისი

| |
|---|
| მინიმალური სამეცნიერო უნარ-ჩვევებით. მოცემული შედეგების უზრუნველყოფას განაპირობებს 23 დარგობრივი და პროფესიული სასწავლო საგნები და ენის კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული ზოგადი ინგლისურის კურსები დაწყებული B1.0 დონიდან დამთავრებული C1 დონის სასწავლო კურსით; ასევე პროფესიული ინგლისურის 2 კურსი, რომელიც მეტად ორიენტირებულია სამეცნიერო- კვლევითი უნარის გამომუშავებაზე სტუდენტებში.<br><br>o თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა 5 კრედიტს უდრის, რამაც ლოგიკურად წამოჭრა კითხვა სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების პრინციპის შესახებ. პროგრამის პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ არ არსებობს კონკრეტული ლოგიკური მექანიზმი/გამოცდილება კურსების მოცულობის განსასაზღვრად.<br><br>რაც შეეხება სილაბუსში მითითებულ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას, ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნა აქვს კონკრეტული კურსების სავალდებულო ლიტერატურასთან, მის რაოდენობასა და შინაარსთან; კერძოდ, სასწავლო კურსების ,,ინგლისური გრამატიკა 1" და ,,ინგლისური გრამატიკა 2" - სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია 9 სახელმძღვანელო, რომლებიც, როგორც ინტერვიუზე გაირკვა, გამოიყენება ე.წ. რიდერის ასაწყობად სტუდენტებისათვის. სილაბუსის შინაარსში კონკრეტული წიგნიდან დასამუშავებელი თემები (წიგნის გვერდების მითითებით) არ ფიქსირდება და, შესაბამისად, კურსის შედეგების მიღწევადობა საეჭვოა. ასეთ შემთხვევაში, ექპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია, სავალდებულო ლიტერატურა და მისი მიწოდების ფორმა გადაიხედოს, განისაზღვროს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის მოცულობა და შესაბამისად აისახოს სილაბუსში. გარდა ამისა, კონცენტრაციის მოდულის სასწავლო კურსის ,,დარგობრივი თარგმანი" სავალდებულო ლიტერატურისა და შინაარსის ბლოკების შესაბამისობა დარღვეულია, იმდენად რამდენადაც სავალდებულო ლიტერატურად კურსის სილაბუსის შინაარსში მითითებულია სხვა ლიტერატურა, რომელიც თავდაპირველ ჩამონათვალში არ ფიქსირდება. ამ კურსთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მისი სახელწოდება და მიზანი გულისხმობს ტექნიკური ტექსტის თარგმანის დამუშავებას, თუმცა, რეალურად გამოყენებული ლიტერატურა და კურსის შინაარსი ძირითადად ორიენტირებული ე.წ. ESP -ის ( ინგლისური სპეციალური მიზნებისათვის) უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რაც გულისხმობს ტექნიკური ტექსტების არა თარგმანს, არამედ სხვადასხვა პროფესიულ დისკურსში წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას. გარდა ამისა, კურსის შინაარსისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მოცემული საგანი რეალურად ასწავლის ე.წ. ,,ბიზნეს ინგლისურსა" (Business English) და ,,იურიდიულ ინგლისურს" ( English for Law). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კურსის სახელწოდება ,,დარგობრივი თარგმანი" ხმამაღალია და საჭიროებს სახელწოდების, ასევე მიზნების, შედეგების და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა/მოდიფიცირებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამა მასზე დართული სილაბუსებით;<br>o ინტერვიუს შედეგები;<br>o ნორმატიული აქტები. |
| რეკომენდაციები:<br><br>▪ ზუსტად განისაზღვროს და/ან დაზუსტდეს კონცენტრაციის მოდულის კურსის ,,დარგობრივი თარგმანი" სახელწოდება, მიზნები და შედეგები და ზედმიწევნით შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>▪ სასურველია, მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით, მკაფიოდ და ლოგიკურად განისაზღვროს თითოეულ სასწავლო კურსზე შესაბამისი კრედიტის მინიჭების მექანიზმი.<br>▪ სასურველია, ერთეული კურსების შემთხვევაში გადაიხედოს, დაზუსტდეს და მკაფიოდ განისაზღვროს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისათვის, როგორც პროგრამის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, პრიორიტეტულია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; მუდმივად მიმდინარეობს კურსების გადახალისება სტუდენტებისათვის პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება/ გაძლიერების მიზნით (მაგ., პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი ,,ციფრული ლინგვისტიკის საფუძვლები”). სამეცნიერო-კვლევითი უნარის გამომუშავებაზე ორიენტირებულია გარკვეული კურსები (მაგ., გამოყენებითი ლინგვისტიკა, ენის სტიკილისტიკა, ინგლისური გრამატიკა, პროფესიული ინგლისური 1 და 2, და ა.შ.), რომლებშიც ძირითადად სამეცნიერი- კვლევითი კომპონენტი რამოდენიმე კურსის ხარჯზე (მინიმალურად) მუშავდება. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით მეტი მუშაობაა საჭირო, რაც ბაკალავრიატის სტუდენტებს უმაღლესი განათლების შემდგომი საფეხურისთვის უკეთ მოამზადებს. შესაძლებელია, კვლევითი ხასიათის საბაკალავრო ნაშრომის დამატება. არსებული პრაქტიკით, საბაკალავრო ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტები ყველაზე მეტად სწორედ სამეცნიერო-კვლევითი კუთხით დახმარებას საჭიროებენ და მითუმეტეს მაშინ, როცა პროგრამა კურსდამთავრებულის დასაქმების ერთ-ერთ სფეროდ სამეცნიერო დაწესებულებას მოიაზრებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>o საგანმანათლებლო პროგრამა მასზე დართული სილაბუსებით<br>o ინტერვიუს შედეგები<br>o ნორმატიული აქტები |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>▪ სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| შეფასება<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

რამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- პროგრამის თითოეულ კურსში რეალიზებული სწავლა/სწვლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურს, სასწავლო კურსების შინაარსსა და სპეციფიკას ( მაგ., ,,პროფესიული ინგლისური 1" და ,,პროფესიული ინგლისური 2",ინტეგრირებულია ინსტუქციაზე დაფუძნებული სწავლება, ე.წ. chunk writing" და ა შ; ზოგადი ინგლისური კურსებში ინტეგრირებულია ჯგუფური მუშაობის მეთოდები, როლური თამაშები, რაც ხელს უწყობს უცხო ენის აპლიკაციას რეალურ კონტექსტში; ,,ინგლისური ენის ფონეტიკა 1" და ,,ინგლისური ენის ფონეტიკა 2", სადაც კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად გამოიყენება დისკუსიისა და ე.წ. drilling -ის (ზედმიწევნით სიტყვებისა და ფრაზების გამეორება), და .ა.შ. ზემოთაღნიშნული მეთოდებისა და აქტივობების სასწავლო კურსებში აპლიკაცია გამოიკვეთა აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროფესორ-მასწავლებლებთან გასაუბრების საშუალებით.
- პროგრამის კურსების სწავლა/სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს; გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც მოერგება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა მასზე დართული სილაბუსებით;
- ინტერვიუს შედეგები;
- ნორმატიული აქტები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი პროცედურების შესაბამისად; გამოცდების დაშიფვრისა და ე.წ. Blind grading-ის საშუალებით უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ნაწილობრივ ობიექტურობას. თუმცა, რაც შეეხება შეფასების ობიექტურობასა და ვალიდურობას, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, შეფასება განხორციელდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, განსაკუთრებით ფინალური გამოცდების დროს, რაც შეფასების ობიექტურობასა და ვალიდურობას გააძლიერებს. არსებული პრაქტიკა ფართოდ არის დანერგილი, როგორც ადგილობრივი, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო საგამოცდო ცენტრების მიერ (მაგ.,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ქემბრიჯის საერთაშორისო და IELTS საგამოცდო ცენტრი

და ა.შ.).

- პროგრამის შემადგენელი კურსების შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების გამჭვირვალეობას უზრინველყოფს, ერთი მხრივ სილაბუსები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი ყოველი მათგანი და მეორე მხრივ, ლექტორის მიერ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით სტუდენტთა ინფორმირება. პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი კარგად იცნობენ შეფასების თანამედროვე მეთოდებს ( მაგ., სტუდენტების მიერ ერთმანეთის შეფასება და მათ შორის უკუკავშირი და სხვ.); მათ ასევე კარგად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი საგნების შეფასების კრიტერიუმების სისტემა, ე.წ. Grading Rubric და ადეკვატურად იყენებენ მას სწავლების პროცესში.
- ამასთანავე, სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინიც კარგად იცნობენ შეფასების სისტემას; პირველივე შეხვედრისას დეტალურად ეცნობიან სილაბუსებს და თვითოეულ შეფასებამდე განიხილავენ შეფასების კრიტერიუმებს. სტუდენტები ასევე იღებენ უკუკავშირს პროფესორისგან ძირითადად საკონსულტაციო საათების დროს. როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, კონკრეტული შეფასების შემდგომ მეცადინეობზე ხდება შედეგების განხილვა, თუმცა, აღიშნული აქტივობა სილაბუსებში არ ფიქსირდება. გამომდრე იქიდან, რომ პროფესორისგან მიღებული უკუკავშირი სტუდენტის მიერ სასურველი შედეგის მაქსიმალურად მიღწევისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა და ხშირად გამოიყენება, როგორც სწავლა-სწავლების მეთოდი, სასურველი იქნება, აღნიშნული აქტივობის განხორციელების დრო სილაბუსებშიც დაფიქსირდეს.
- უნივერსიტეტში გამართულად ფუნქციონირებს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების დოკუმენტირებული მექანიზმი, რაც დადასტურდა კიდეც სტუდენტებთან შეხვედრის დროს. მათ გაიხსენეს შემთხვევები, როცა ლექტორს მოუწია შეფასების შეცვლა არგუმენტირებული გასაჩივრების შედეგად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა მასზე დართული სილაბუსებით;
- ინტერვიუს შედეგები;
- ნორმატიული აქტები.

რეკომენდაციები:

N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სწავლის შედეგების შეფასება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;
- სასურველია, პროგრამის სილაბუსებში აისახოს სტუდენტისათვის უკუკავშირის მიწოდების პროცესი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| ο |
|---|
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **ისობაშია მოთხოვნებთან** | **ეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ს შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| **3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება** |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კავკასიის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის აკრედიტაციის თვითშეფასებაზე, მოწოდებულ დოკუმენტაციასა და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ ამ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საკონსულტაციო სერვისით რამდენიმე მიმართულებით:<br><br>▪ **სასწავლო პროცესის დაგეგმვისას**, სტუდენტებს აკადემიური მრჩეველის სახით ჰყავთ პროგრამების აკადემიური მენეჯერი, რომელიც მათ საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციას აწვდის ცალკეული კურსების შინაარსის, მათი არჩევის, აკადემიური რეგისტრაციის |

| |
|---|
| ვადების და სხვადასხვა საკითხების შესახებ. საინფორმაციო მომსახურებას სტუდენტები ასევე იღებენ სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურისგან.<br>▪ მეორეს მხრივ, **სტუდენტების აკადემიური მიღწევების** გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები. სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ისინი კონსულტაციის თარიღს ელ. ფოსტით უთანხმებენ ლექტორებს. ასევე, შეუძლიათ ლექციის შემდეგ არაფორმალურ გარემოში მიიღონ პასუხები არსებულ საკითხებზე. სილაბუსებში კონსულტაციის დროის მონაკვეთებში არ არის მოცემული კონკრეტული საათები, როდესაც სტუდენტებს შეეძლებათ ინდივიდუალური კონსულტაციისთვის მიმართონ ლექტორებს. სასურველია, სილაბუსებში მიეთითოს წინასწარ დადგენილი კონსულტაციის საათები.<br>▪ აგრეთვე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან მიმართებით, ინტერვიუებზე გამოვლინდა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მოითხოვონ საგამოცდო ნაშრომების ნახვა და გასაჩივრება, თუკი ეჭვი ეპარებათ შეფასების ობიექტურობაში. რამდენიმე სტუდენტმა საკუთარი გამოცდილება გაუზიარა ექსპერტთა ჯგუფს გასაჩივრების შემთხვევებთან დაკავშირებით, სადაც კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ სკოლამ რეაგირება მოახდინა მათ მიმართვაზე.<br>▪ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რჩევის სახით შესაძლოა გაიცეს მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს თითოეული გამოცდის შემდეგ სალექციო პერიოდში უკუკავშირის სესია, სადაც ლექტორი სტუდენტებს თავიანთ ნაშრომებს აჩვენებს, სტუდენტები გააცნობიერებენ დაშვებულ შეცდომებს და გაითვალისწინებენ შემდეგში.<br>▪ რაც შეეხება სტუდენტების **კარიერულ მხარდაჭერას**, უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომლისგანაც სტუდენტები ელ. ფოსტის საშუალებით იღებენ ინფორმაციას დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ. დამსაქმებლებმა ისაუბრეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე სტაჟირებაზე აყვანილი რამდენიმე ამ პროგრამის სტუდენტის შესახებ.<br>▪ პროგრამის ერთ-ერთ სუსტ მხარედ შესაძლოა ჩაითვალოს გაცვლითი პროგრამების და საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების სიმცირე. მნიშვნელოვანია შესაბამისმა სამსახურებმა უფრო ინტენსიურად იზრუნონ ამ პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე. რაც შეეხება საუნივერსიტეტო ღონისძიებებსა და კონფერენციებში მონაწილეობას, უნივერსიტეტში არსებობს რეიტინგული სისტემა, რომელიც სტუდენტებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საუნივერსიტეტო აქტივობებში, ბონუს ქულას ანიჭებს საუნივერსიტეტო გრანტის მოპოვების კონკურსში და ასევე დამსაქმებელთან რეკომენდაციის გაცემისას. სტუდენტები ელ-ფოსტით იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილი ყველა სახის ღონისძიებების შესახებ. ამასთან, ფაკულტეტი გეგმავს თემატური კონფერენციების ორგანიზებას, რაც კარგი შესაძლებლობა არის ამ კონკრეტული პროგრამის სტუდენტებისთვის, გაუზიარონ ერთმანეთს სფეროში არსებული ცოდნა და სამეცნიერო სიახლეები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>● დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები;<br>● ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>● თან დართული დოკუმენტაცია. |
| რეკომენდაციები:<br>● რეკომენდებულია, მოხდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, ამ პროგრამის |

სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, სილაბუსებში მიეთითოს წინასწარ დადგენილი კონსულტაციის საათები.
- სასურველია, მეცადინეობების კალენდარული გეგმა ითვალისწინებდეს თითოეული გამოცდის შემდეგ უკუკავშირის სესიას (სალექციო პერიოდში), სადაც ლექტორი სტუდენტებს თავიანთ ნაშრომებს აჩვენებს, სტუდენტები გააცნობიერებენ დაშვებულ შეცდომებს და გაითვალისწინებენ შემდეგში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- რეიტინგული სისტემა, რომელიც სტუდენტებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საუნივერსიტეტო აქტივობებში, ბონუს ქულას ანიჭებს საუნივერსიტეტო გრანტის მოპოვების კონკურსში და ასევე დამსაქმებელთან რეკომენდაციის გაცემისას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

N/A

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

N/A

**რეკომენდაციები:**

N/A

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

N/A

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

N/A

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>N/A |
|---|
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | ესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ს შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | √ | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| - პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო |

რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 38 აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 25 მოწვეული ლექტორი) და მათი პროგრამაში ჩართულობა დარეგულირებულია მოქმედი კანონმდებლობისა და კავკასიის უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან (38 პროფესორ-მასწავლებელი გათვალისწინებულია 138 სტუდენტზე, ანუ 1 მასწავლებელი- 4 სტუდენტზე) და სავსებით მისაღებია. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დაცულია, კერძოდ, 13 აკადემიური და 25 მოწვეული პროფესორი, დაახლოებით 1:2-ზე თანაფარდობით. მოცემული მაჩვენებელი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გაჩია სათანადო ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება, რაც დასტურდება პირადი საქმეებით.
- პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრამ ცხადყო, რომ მათ ასევე გააჩნიათ უახლესი ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოყენების გამოცდილება.
- აქვე გვსურს, აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა არ ითალისწინებს ურთერთდასწრების აქტივობას, პროგრამის შემდგომი დახვეწა-განვითარების მიზნით, ინგლისური ფილოლოგიის აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი საკუთარი ინიციატივით წარმატებით და დიდი ენთუზიაზმით ახორციელებენ ურთიერთდასწრებას კოლეგასთან გამოცდილების გაზიარების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველი იქნებოდა, ასეთი აქტივობების დოკუმენტურად გაფორმება, რაც უფრო ეფექტურს გახდიდა გამოცდილების გაზიარების პროცესს. გარდა ამისა, აღნიშნული ინიციატივა შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო პრაქტიკად და გამოყენებულ იქნას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.
- როგორც სილაბუსებიდან და ინტერვიუდან ირკვევა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებთან საკონსულტაციო საათებს და გარკვეულწილად პროგრამის განვითარებაშიც მონაწილეობს, თუმცა, მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავება- განვითარებაში ჩართულობა, მსგავსად სხვა ზემოთგანხილული შემთხვევებისა, ძირითადად ხორციელდება არაოფიციალურ გარემოში და შემოიფარგლება პროგრამის ხელმძღვანელობისგან ინფორმაციული ხასიათის ელ-ფოსტის დაგზავნით დისტანციურ რეჟიმში.
- პროგრამაში გარკვევით და დეტალურადაა გაწერილი პროგრამის პერსონალის ფუნქცია მოვალეობები, და ასევე გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობაც, რაც აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუზე დაადასტურა.
- მოცემულ აკადემიურ პერსონალს გააჩნია შესაბამის სფეროში დოქტორის ან მაგისტრის ხარისხი, აქვთ მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება, პუბლიკაციები, მიმდინარე კვლევითი ინტერესები, რაც განაპირობებს მათი ჩართულობის - ლექციების ჩატარება იქნება ეს თუ სტუდენტის ხელმძღვანელობა - აქტუალობას, რელევანტურობას და მტკიცე

| |
|---|
| სამეცნიერო და საგანმანათლებლო საფუძველს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ნტერვიუს შედეგები.<br>▪ პერსონალის პირადი საქმეები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>▪ პროფესორ-მასწავლებლების მიერ ინიცირებული ურთიერთდასწრების პრაქტიკა პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ▪ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>▪ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o ინგლისური ფილოლოგიის პროგრამით გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევა, რომელიც გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით.სტუდენტები ავსებენ ანონიმურ კითხვარს, რომელსაც მოყვება შესაბამისი რეაგირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.<br>o ამჟამად, პროგრამის აკადემიური პერსონალის სასწავლო საქმიანობა მოწმდება მხოლოდ სტუდენტების მიერ შევსებული კმაყოფილების კითხვარების შედეგების ანალიზის საფუძველზე. თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიამობა მოწმდება გამოქვეყნებული პუბლიკაციების მიხედვით, ამასთან, თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, კავკასიის უნივერსიტეტი თითქმის ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს და გამოსცემს საკონფერენციო კრებულს, მაგრამ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის აკადემიური პერსონალის ჩართულობა ამ მიმართულობით არ დასტურდება. ინტერვიუზე მხოლოდ ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა, როდესაც აფილირებული პერსონალი უნივერსიტეტის მხარდაჭერით მონაწილეობას იღებს საერთაშორისო კონფერენციებში. ამდენად, სასურველია მეტი აქტივობების განხორციელება პროგრამაში ჩართული თითეული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად.<br>o მოწოდებულ მასალის და ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე დასტურდება , რომ შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესურის წასახალისებლად, კერძოდ, პროგრამის პერსონალს გადაეცემა სხვადსხვა ჯილდო განსაკუთრებული ღვაწლისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>o კითხვარი აკადემიური პერსონალისათვის;<br>o მემორანდუმები, შეთანხმებები;<br>o კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა დამტკიცებული კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ (2018 წელი);<br>o ინტერვიუს შედეგები. |
| რეკომენდაციები:<br>▪ საჭიროა, პროგრამაში ჩართული ყველა, და არა ცალკეული პერსონალის პროფესიული განვითარების აქტიური მხარდაჭერა უსდ-ს მხრიდან. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ,,ინგლისური ფილოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი და სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკლასო ოთახებით, რომლებშიც ხელმისაწვდომია შეუზღუდავი და უფასო ინტერნეტ კომუნიკაცია. პროგრამა შიცავს რამდენიმე ისეთ სასწავლო კურსს (მაგ., ფონეტიკა, ციფრული ლინგვისტიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ა. შ. ), რომლისთვისაც აუცილებელია კომპუტერული ლაბორატორიის გამოყენება. ასეთი ლაბორატორია უნივერსიტეტში ფუნქციონირებს და, როგორც პროგრამის პერსონალმა განაცხადა, ლექტორები მას წინასწარ ჯავშნიან საჭიროების შემთხვევაში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ წვდომას როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ რესურსზე. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი და მასში მოიპოვება პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული საერთაშორისო ელექტრონული რესურსები. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო სასწავლო ლიტერატურას, ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებისას გამოიკეთა ერთეული შემთხვევა, როდესაც სილაბუსში მითითებული სავალდებულო სასწავლო წიგნის მოძებნა ვერ მოხერხდა ( მაგ., Kirvlidze N.( 2008). A University Course in Text Linguistics). აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკას ჰყავს კვალიფიციური თანამშრომლები, რომლებიც, საჭიროების

შემთხვევაში ქმნიან კომფორტულ გარემოს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით, განსაზღვრავს პროგრამის ფინანსურ საჭიროებებს და შესაბამისად ახდებს პროგრამიდან მიღებული შემოსავლის გადანაწილებას პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, თვითშეფასების დოკუმენტის ინფორმაციით, რომელიც დასტურდება ინტერვიუს შედეგებითაც, უნივერსიტეტის მიერ შექმნილია სარეზერვო ფონდი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ რეჟიმში, შეუფერხებელ განხორციელებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>o პროგრამის ბიუჯეტი;<br>o ინტერვიუს შედეგები. |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | მისობაშია მოთხოვნებთან | ეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ს შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- პროგრამის შიდა მონოტრინგი ხორციელდება საუნივერსიტეტო, უნიფიცირებული რეგულაციების მიხედვით, სადაც დეტალურადაა გაწერილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ეტაპები და მექანიზმები. ინტერვიუს შედგად მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით კი, უშუალოდ ინგლისური ფილოლოგის პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრებს ძირითადად არაფორმალური სახე აქვს და არ ხასიათდება გარკვეული პერიოდულობით.
- თვითშეფასების ჯგუფის მონაწილეთა განცხადებით, პროგრამის განვითარების შეფასება ხორციელდება ყველა დაინტერსებული მხარის ჩართულობით, თუმცა, ვერც ვერბალურად და ვერც დოკუმენტურად, ჩართულმა მხარეებმა ვერ წარმოადგინეს მათი წვლილის დამადასტურებელი არგუმენტები. ინტერვიუს მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისეთი აქტივობები, როგორიცაა პროგრამაში ცვლილებების შეტანა, კონკრეტულ კურსისათვის კრედიტების განსაზღვრა და ა.შ. ხორციელდება პროგრამაში ჩართული პერსონალის არაფორმალურ შეხვედრებზე.
-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა და შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, საჭიროა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა, გააქტიურება უშუალოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ,,გარე ხარისხის შეფასება ხდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის დროს. ასევე, პერიოდულად ხდება გარე ექსპერტების მოწვევა, მათ შორის საერთაშორისო ექპერტების. ხორციელდება მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.'' გარე საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა- ასახული პროგრამის თვითშეფასებაში, არ დასტურდება ინტერვიუს შედეგებით, ისევე, როგორც არ არსებობს ასეთი ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში;<br>o ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• თვითშეფასების ანგარიშში ასახული საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა უშუალო პროგრამის შეფასების პროცესში არ დადტურდება. შესაბამისად, საჭიროა, დაზუსტდეს და გამჭვირვალე გახდეს პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>▪ სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით პროგრამის ხარისხის შემდგომი განვითარების მიზნით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- პროგრამის აკრედიტაციიდან დღემდე, მისი გაუმჯობესების მიზნით, როგორც თავად პროგრამის პერსონალი აღნიშნავს, პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურაში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ, პროგრამას დაემატა რამდენიმე სასწავლო კურსი (ინგლისური ენის ისტორია, ციფრული ლინგვისტიკის საფუძვლები, ინგლისური ენის ბ1.0 და ბ1 დონის შესაბამისი სასწავლო კურსები), შეიცვალა ინგლისური ენისა და კონცენტრაციის მოდულებზე დაშვების წინაპირობა, ასევე თემატური გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით, პროგრამიდან ამოღებული იქნა ზოგადი ენათმეცნიერება, ვინაიდან მის პარალელურად სტუდენტები გადიოდნენ სასწავლო კურსს ,,ენათმეცნიერების შესავალი". ამასთანავე, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა აღინიშნა, პერიოდულად მიმდინარეობს ინგლისური ფილოლოგის პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების, უმეტესად ბალტიისპირეთის ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება, რის საფუძველზეც ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. ყოველსემესტრულად ხორციელდება სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასება ანონიმური კითხვარის შევსების სახით. ასევე, ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომლის შედეგების დამუშავება ხდება სასწავლო კურსების, ლექტორების, მიხედვით. როგორც თვითშეფასების ანგარიშში ასახულია, მოცემული შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის, მაგრამ აღნიშნული პროცესი არ დასტურდება დოკუმენტურად.

- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების და განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ეფექტურ და პროდუქტიულ გზას ე.წ. კოლეგიალური შეფასება წარმოადგენს, რაც გულისხმობს კოლეგების მიერ ლექციებზე დასწრებას და სწავლების ხარისხის შეფასებას წინასწარშემუშავებული ფორმის (ე.წ. დასწრების ფორმა/ Observation Sheet) მეშვეობით. საერთაშორისოდ აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო გზა კონკრეტული პრაქტიკული/ სემინარული სახის გაკვეთილის მიზნების, სწავლების მეთოდებისა და ეტაპების განსაზღვრის, ასევე კლასის მართვის ( ე.წ.classroom management) პროცესის უკეთ წარმოების მიზნით. გარდა ამისა, კოლეგიალური დასწრება ეხმარება როგორც ,,სამიზნე", ასევე დამსწრე პედაგოგს უკეთ დაინახოს საკუთარი სწავლების ,,სუსტი" მხარეები,

| |
|---|
| ობიექტურად, ,,გარეშე თვალით“ შეაფასოს სწავლების პროცესი და სამომავლოდ გააუმჯობესობს კონკრეტული ხარვეზები. კოლეგიალური შეფასების პარალელურად მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში, განსაკუთრებით უცხო ენის სწავლებაზე ორიენტირებულ კურსებში სპეციფიკიდან გამომდინარე აქტიურად გამოიყენება ე.წ. პედაგოგის მხრიდან საკუთარ სასწავლო პროცესზე დაკვირვება (ე.წ. Self-reflection), რაც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით ( მაგ., გაკვეთილის ჩაწერა და შემდგომ მისი ანალიზი, დაკვირვებების დღიურის- ე.წ. reflection journal წარმოება, სტუდენტის მიერ კონკრეტულ გაკვეთილზე უკუკავშირის მიცემა და ა შ.). მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ კოლეგიალური შეფასება და საკუთარი სწავლების პროცესზე დაკვირვება განსაკუთრებით ეფექტურია აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სასურველია, აღნიშნული მეთოდები დაინერგოს ( განსაკუთრებით ენის სწავლებაზე ორიენტირებულ კურსებში) და განხორციელდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში გარკვეული პერიოდულობით. როგორც პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუმ ცხადყო, პედაგოგ-მასწავლებლების პოზიცია დადებითია ამ საკითხთან დაკავშირებით (როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი მასწავლებელი საკუთარი ინიციატივით იყენებს კიდეც აღნიშნულ პრაქტიკას) და მათთვის სრულიად მისაღებია მოცემული ინიციატივა. შესაბამისად, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტის ხარისხის მონიტორინგის სამსახური ამ მიმართულებით იმუშავებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;<br>o სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა;<br>o კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა;<br>o დამსაქმებლის გამოკითხვის ფორმა;<br>o ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა, გაძლიერდეს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება და შედეგები დადასტურდეს დოკუმენტურად. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია,პროგრამაში დაინერგოს და განხორციელდეს კოლეგიალური შეფასებისა და პედაგოგის მხრიდან საკუთარ სწავლების პროცესზე დაკვირვების მექანიზმი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | √ | | |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:ინგლისური ფილოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | √ | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | √ | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა:

ნინო ჯოჯუა:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა:

ინგა დიაკონიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა:

სალომე ძაგნიძე